ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №55

27.01.2025 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვიტალი ონიანი, ლევან ჯაფარიძე, ანა კილაძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ნინო რუხაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **გიორგი კობიაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი;
4. **ნინო ბაგაშვილი** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 15 იანვრის №12-032502486-03 წერილი)

/**მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი/

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 15 იანვრის №12-03250156-03 წერილი)**

/**მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ **(ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 24 იანვრის №12-032501727-03 წერილი)**

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ **(ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 23 იანვრის №12-032502370-03 წერილი)**

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

5. **მიმდინარე საკითხები.**

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. **თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 15 იანვრის №12-032502486-03 წერილი)**

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გაიოზ თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2025 წლის 1-ელი იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (209 684 900 ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ:

იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 38 600 ლარით (საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის №474 დადგენილება და სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2025 წლის 15 იანვრის NCDC 2 25 00025592 წერილი), ხოლო მცირდება სხვა შემოსავლების ნაწილში სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 38 600 ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 209 684 900 ლარით და შეადგენს 2 192 862 900 ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე,

მათ შორის: იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 6 800 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 2 195 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) – 200 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 100 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) – 315 600 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 425 900 ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 50 000 000 ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 14 000 000 ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) – 3 148 100 ლარით, საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 149 800 ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) – 1 550 000 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 1 091 800 ლარით, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) – 802 200 ლარით, კეთილმოწყობის

საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 208 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 2 666 100 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 2 214 7000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 800 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 2 300 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 1 373 900 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 2 350 000 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 1 836 700 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისი რაიონში (კოდი 02 09 18) – 1 165 900 ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 700 000 ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 5 045 400 ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) – 10 550 400 ლარით, **გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 13 665 000 ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 139 200 ლარი, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ასიგნებები – 1 415 700 ლარით, სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა (კოდი 03 04 01) – 2 992 000 ლარით, ვერის ბაღის რეაბილიტაცია (კოდი 03 04 02) – 7 575 000 ლარით,** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) – 200 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) – 496 100 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) – 1 363 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) – 500 000 ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) – 300 000 ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) – 30 000 ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 470 000 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 33 813 200 ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 3 500 000 ლარით, ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) – 450 000 ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები – 2 103 000 ლარით, საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 100 000 ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 160 000 ლარით, მწვრთნელთა მხარდაჭერა (კოდი 08 06 02) – 525 000 ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 2 090 000 ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 7 019 900 ლარით, მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02) პროგრამის – 423 300 ლარით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი 10 26) – 1 765 000 ლარით. ამასთან, **ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა - ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაცია (კოდი 03 04 03) - 10 000 000 ლარი** და ახალი

პროგრამა - თბილისის მეტროს (მოძრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (AIIB) (კოდი 10 41) - 6 600 000 ლარის ოდენობით. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობიდან გამომდინარე, დაზუსტდა ასიგნებები შემდეგ პროგრამებში, კერძოდ: იზრდება მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02) პროგრამის ასიგნებები – 52 700 ლარით და მუნიციპალური ინსპექცია (კოდი 10 07) – 58 900 ლარით, ხოლო მცირდება მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის (კოდი 10 04) პროგრამის ასიგნებები - 6 900 ლარით, იურიდიული საქალაქო სამსახური (კოდი 10 04) – 58 700 ლარით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (კოდი 10 37) – 5 300 ლარით, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (კოდი 10 43) – 40 700 ლარით. გარდა ამისა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) ქვეპროგრამის ფარგლებში, გაიზარდა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა - ბაღების მართვის სააგენტოს 3 მომუშავეთა რიცხოვნობა 5 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4970 ერთეულით.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 27 იანვარს **№12-032502486-03 წერილით** წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 27 იანვარს **№12-032502486-03 წერილით** წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 15 იანვრის №12-03250156-03 წერილი)**

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გიორგი კობიაშვილმა.

მომხსენებლის (გ. კობიაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოში, 2025 წლის პირველი თებერვლიდან დაიწყება რეორგანიზაცია და განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 15 იანვრის **№12-03250156-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 15 იანვრის **№12-03250156-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ **(ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 24 იანვრის №12-032501727-03 წერილი)**

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის №25.15.20 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 8 წინადადება - №01242292331-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612871); №0124303624-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612855); №0124220143-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612302); №01241713444-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612219); №01242781360-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243611985); №01241363812-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612192); №0124268495-

67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243611550); №01240994827-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0124366806)).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№01242292331-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612871) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა №19-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.909; №01.19.24.007.910; №01.19.24.007.916-ის ნაწილი) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა, №19-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.909; №01.19.24.007.910; №01.19.24.007.916-ის ნაწილი) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №688 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა №19-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.909; №01.19.24.007.910; №01.19.24.007.916-ის ნაწილი) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№0124303624-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612855) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი, №74-ში; ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.17.002.172; №01.19.17.002.108; №01.19.17.002.174) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი, №74-ში; ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.17.002.172; №01.19.17.002.108; №01.19.17.002.174) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №689 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, სამხრეთით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2)

სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ხოლო, №01.19.17.002.164; №01.19.17.002.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი, №74-ში; ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.17.002.172; №01.19.17.002.108; №01.19.17.002.174) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ასევე, №01.19.17.002.164 და №01.19.17.002.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№0124220143-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612302) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე; ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, არსენას ქუჩა №10ა-ში; ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.007.062; №01.20.01.007.056; №01.20.01.007.086; №01.20.01.007.061; №01.20.01.007.043; №01.20.01.143.013-ის ნაწილი) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე; ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, არსენას ქუჩა №10ა-ში; ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.007.062; №01.20.01.007.056; №01.20.01.007.086; №01.20.01.007.061; №01.20.01.007.043; №01.20.01.143.013-ის ნაწილი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №686 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე; ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, არსენას ქუჩა №10ა-ში; ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.007.062; №01.20.01.007.056; №01.20.01.007.086; №01.20.01.007.061; №01.20.01.007.043; №01.20.01.143.013-ის ნაწილი) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01241713444-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612219)**

განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ამაღლებას ქუჩა, №3ბ, №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №81.02.98.029; №81.02.98.027; №81.02.99.522; №81.02.95.011; №81.02.98.133; №81.02.95.286) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ამაღლებას ქუჩა, №3ბ, №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №81.02.98.029; №81.02.98.027; №81.02.99.522; №81.02.95.011; №81.02.98.133; №81.02.95.286) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის N682 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ამაღლებას ქუჩა, №3ბ, №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №81.02.98.029; №81.02.98.027; №81.02.99.522; №81.02.95.011; №81.02.98.133; №81.02.95.286) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01242781360-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243611985) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.17.885; №72.16.20.171; №72.16.20.172; №72.16.17.884; №72.16.17.878) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.17.885; №72.16.20.171; №72.16.20.172; №72.16.17.884; №72.16.17.878) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №687 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, №01.72.16.104.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

ინიციატივით ხორციელდება სარეკრეაციო ზონის (რზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.17.885; №72.16.20.171; №72.16.20.172; №72.16.17.884; №72.16.17.878) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, №01.72.16.104.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე სარეკრეაციო ზონის (რზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01241363812-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612192) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, რწმენის ქუჩა №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.37.016.003) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, რწმენის ქუჩა, №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.37.016.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №683 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, №01.19.37.012.008 და №01.19.37.016.210 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რწმენის ქუჩა, №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.37.016.003) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, №01.19.37.012.008 და №01.19.37.016.210 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№0124268495-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243611550) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი 3, ჯავახეთის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.013.015, №01.19.36.013.059, №01.19.36.013.020, №01.19.36.013.045) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №66-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი-3, ჯავახეთის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 13/015); ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა, №146; №152ბ; №162; №152; №164; №152ე; №66; №152ა; №148; №158; №152გ; №152დ; №160; №156; №66დ; №154; №150-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.013.060; №01.19.36.013.015; №01.19.36.013.061; №01.19.36.013.056; №01.19.36.013.013; №01.19.36.013.059; №01.19.36.013.011; №01.19.36.013.045; №01.19.36.013.046; №01.19.36.013.006; №01.19.36.013.014; №01.19.36.013.037; №01.19.36.013.058; №01.19.36.013.012; №01.19.36.013.027; №01.19.36.013.053; №01.19.36.013.020; №01.19.36.013.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №684 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

აღნიშნულის სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება იხსნება მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიასა და №01.19.36.013.048 და №01.19.36.013.047 საკადასტრო ერთეულებზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი 3, ჯავახეთის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.013.015, №01.19.36.013.059, №01.19.36.013.020, №01.19.36.013.045) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიასა და №01.19.36.013.048 და №01.19.36.013.047 საკადასტრო ერთეულებზე შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „თ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№01240994827-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0124366806) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნადიკვრის ქუჩის მიმდებარედ „თაბორი“-ს მთის კალთაზე; ქალაქ თბილისში ბერძნის ქუჩა, №39-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.18.04.020.209, №01.18.04.020.208;

№01.18.04.020.326) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, ნადიკვრის ქუჩის მიმდებარედ „თაბორი"-ს მთის კალთაზე; ქალაქ თბილისში ბერძნის ქუჩა, №39-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.18.04.020.209, №01.18.04.020.176, №01.18.04.020.326, №01.18.04.020.208) ინდივიდუალური ერთბინიანი და ორბინიანი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №719 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნადიკვრის ქუჩის მიმდებარედ „თაბორი"-ს მთის კალთაზე; ქალაქ თბილისში ბერძნის ქუჩა, №39-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.18.04.020.209, №01.18.04.020.208; №01.18.04.020.326) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 17 იანვრის **№12-032501727-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 8 წინადადება - №01242292331-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612871); №0124303624-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612855); №0124220143-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612302); №01241713444-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612219); №01242781360-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243611985); №01241363812-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612192); №0124268495-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243611550); №01240994827-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0124366806)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 17 იანვრის **№12-032501727-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 8 წინადადება - №01242292331-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612871); №0124303624-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612855); №0124220143-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612302); №01241713444-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612219); №01242781360-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243611985); №01241363812-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243612192); №0124268495-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01243611550); №01240994827-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-0124366806)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ **(ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2025 წლის 23 იანვრის №12-032502370-03 წერილი)**

სხდომის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 22 იანვრის №25.39.56 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის

(პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №01243582583-67; №01243522089-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№01243582583-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.13.385.004) მოთხოვნილია სატყეო ზონის სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს №01.72.13.385.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ნაგავსაყრელის მოწყობა.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამრეწველო ზონა 2 (ს-2) არის ერთგვაროვანი სამრეწველო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ სამრეწველო გამოყენების და ნაგავსაყრელის ტერიტორიებს.

ამავე დადგენილების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამრეწველო ზონა 2 (ს-2)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები, ასევე, ნაგავსაყრელის ტერიტორიები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 24 დეკემბრის №01243592638 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.13.385.004) სატყეო ზონის სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01243522089-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, თინათინ ვირსალაძის ქუჩა, №4ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.032.193) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საოფისე-სასაწყობე შენობის განთავსება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, №01.72.14.032.193 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).

ამასთან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, №01.72.14.032.193 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება არ გამოიწვევს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ფრაგმენტიზაციას და საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო არეალის მიღმა დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.72.14.032.193 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, თინათინ ვირსალაძის ქუჩა, №4ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №01.72.14.032.193) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება მისაღებია.

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 23 იანვრის **№12-032502370-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01243582583-67; №01243522089-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2025 წლის 23 იანვრის **№12-032502370-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01243582583-67; №01243522089-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

დღის წესრიგის მეხუთე (მიმდინარე) საკითხები - არ განხილულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე